

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში

საკრებულოს წევრი - თეიმურაზ უჩიძე

საანგარიშო პერიოდი - 2016 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 15 ოქტომბერი

ანგარიშის ტიპი - რიგითი

- 1) სულ საკრებულოს სხდომების რაოდენობა - საანგარიშო პერიოდში (2016 წლის 1 იანვრი - 2016 წლის 15 ოქტომბრამდე) ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა 14 სხდომა
- 2) საკრებულოს სხდომებზე დასწრება - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ჩატარებული 14 სხდომიდან ვესწრებოდი 10 სხდომას.
- 3) საკრებულოს წევრის მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები: საანგარიშო პერიოდში ჩემი მხარდაჭერით მიღებულ იქნა:
 - ✓ „ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, ხეივნების, შესახვევების, ჩიხების, მოედნების, სკვერების, შენობა-ნაგებობების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 დეკემბრის №48 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილება
 - ✓ „ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლების საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ“ დადგენილება
 - ✓ 2016 წლის 17 ივლის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ შესული ცვლილებების საფუძველზე „ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე დადგენილება და სხვა.
 - ✓ არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის „ახალციხის თემის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება“-ს წესდების დამტკიცების თაობაზე განკარგულება
 - ✓ არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის „ახალციხის თემის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება“-ს წესდების დამტკიცების თაობაზე განკარგულება
- 4) საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა:
 - ა) ზედამხედველობას ვუწევდი მთელი წლის განმავლობაში სვირის ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებს.
 - ბ) ასევე, მთელი წლის განმავლობაში ვხვდებოდი მოსახლეობას და ვეხმარებოდი არსებული პრობლემების გადაწყვეტაში.



გ) მოსახლეობას ვაწვდი ინფორმაციას ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

ა. ყაძელაძე

თეიმურაზ უჩიძე